

გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ხელმოწერის ნიმუშებს და სხვ.

საბანკო დაწესებულებაში პირის ანგარიშის დახურვა ხორციელდება დადგენილი წესით და მოიცავს შემდეგ შემთხვევებს:

- ანგარიშის მფლობელის განცხადება;
- ფილიალის შემთხვევაში – მისი სათავო სანარმოს (ორგანიზაციის) განცხადება;
- პირის ლიკვიდაციის პროცესის დასრულება;
- დადგენილი წესით პირის გაკოტრებულად ცნობა;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის უნაღდო ანგარიშსწორების არსი და მნიშვნელობა?
2. როგორ ვლინდება ნაღდი და უნაღდო ფულის მიმოქცევის ერთიანობა?
3. რა უპირატესობებით ხასიათდება უნაღდო ფულის მიმოქცევა ნაღდთან შედარებით?
4. რა არის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა და რას წარმოადგენს ანგარიშსწორებათა ორგანიზების პრინციპები?
5. რას ნიშნავს „საგადამხდელო სისტემა“ და რომელია მისი სამი ძირითადი კომპონენტი?
6. რა შეიძლება ითქვას ცენტრალური ბანკების როლზე საგადამხდელო სისტემების მუშაობაში?
7. რომელ ძირითად სეგმენტებს მოიცავს საქართველოს საბანკო სფეროს საგადამხდელო სისტემების ინფრასტრუქტურა?
8. როგორ დაახასიათებდით დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემას (RTGS)?
9. რას გულისხმობს „ნეტ“ ანგარიშსწორების სისტემის (კლირინგი) არსი?
10. როგორ დაახასიათებდით ორმხრივ და მრავალმხრივ კლირინგს?
11. რა იცით „სვიფტის“ (SWIFT) სისტემის შესახებ?
12. როგორია პლასტიკური ბარათებით ოპერაციებისათვის ანგარიშსწორების სისტემებისა და საპროცესინგო ცენტრების როლი?

13. რა შეიძლება ითქვას სისტემა „ბანკი-კლიენტისა“ და დისტანციური საბანკო მომსახურების შესახებ?
14. რა თავისებურებებით ხასიათდება სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემები?
15. რა არის ბანკთაშორისი საკორესპონდენტო ურთიერთობების მექანიზმის არსი?
16. რა შეიძლება ითქვას ნოსტრო და ლორო ანგარიშების შესახებ?
17. რას ნიშნავს „ბანკი-კორესპონდენტი“ და „ბანკი-რესპონდენტი“?
18. კლიენტის რომელი საბანკო ანგარიშების ტიპები არსებობს ქართული კანონმდებლობით?
19. ვისთვის არის განკუთვნილი საკორესპონდენტო და საკასო მომსახურების ანგარიშები და რა პირობებია გასათვალისწინებელი მათი გახსნისას?
20. საბანკო დაწესებულებაში პირის ანგარიშის დახურვის რომელ შემთხვევებს ითვალისწინებს დადგენილი წესი?